დანართი

„მდინარე არაგვის ხეობაში განთავსებული წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 იანვრის N1 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული კვლევების ჩატარების სამოქმედო გეგმა

კვლევებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენცია
ტენდერში მონაწილე პირმა უნდა წარმოადგინოს კვლევების სპეციფიკის შესაბამისი სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, შესრულებული პროექტების დასახელების სახით. ასევე, ინფორმაცია კვლევაში ჩართული სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ, მათ შორის:

- ჰიდროლოგი;
- ჰიდროგეოლოგი;
- გეოლოგი - საინჟინრო გეოლოგია და საშიში გეოდინამიკური პროცესების შეფასება;
- გარემოს დაცვის სპეციალისტი;
- ნაპირდაცვის სპეციალისტი;
- არქიტექტორი - ურბანისტი;

თითოეულ სპეციალისტს უნდა ჰქონდეს პროფესიული საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება

საჭირო კვლევების ჩამონათვალი
სანიტარიული ზონის შეფასების ფარგლებში ჩასატარებელი კვლევებია.

ა) ტერიტორიის საკადასტრო კვლევა;
ბ) პერსპექტიული წყალმომარაგების წყაროების (მიწისქვეშა, ზედაპირული) დადგენა;
გ) პერსპექტიული განაშენიანების არეალების განსაზღვრა შემდგომი შეფასების მიზნით;
დ) ჰიდროლოგიური გაანგარიშებები და წყალდიდობის/წყალმოვარდნების ზემოქმედების არეალების შესწავლა;
ე) წყალდიდობის/წყალმოვარდნის პროგნოზები და შესაბამისი მოდელირება;
ვ) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევა (დაბინძურების ხარისხის და თვითგაწმენდის უნარის განსაზღვრა);
ზ) ნიადაგის და გრუნტის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევა (დაბინძურების და ფილტრაციული გაწმენდის უნარის შეფასება);
თ) განაშენიანების პერსპექტიული არეალების რამდენიმე საორიენტაციო მასშტაბის მოდელირება და პროგნოზული დამაბინძურებლების ზეგავლენის შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, ასევე ნიადაგზე და გრუნტზე;
ი) განაშენიანების არეალის გამოყოფის შემთხვევაში დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა (წყალმოვარდნების პრევენციული ღონისძიებები, სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების და ნარჩენების მართვა).

კვლევების შესრულების ვადები
კვლევების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის სექტემბრის თვე.

კვლევების ჩატარებაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრა
კველვების ჩატარებაზე პასუხისმგებელია დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია.

კვლევების ჩატარების ფინანსური უზრუნველყოფა

კვლევების ჩატარება ფინანსურად უზრუნველყოფილია დუშეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით.

განაშენიანების პერსპექტიული არეალების ბლოკებად დაყოფის უზრუნველყოფა, ცალკეული ბლოკის ინდივიდუალურად შეფასების შესაძლებლობის მიზნით

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შესასწავლი არეალის ცალკეულ ბლოკებად დაყოფა არ განხორციელდეს. შესასწავლი არეალის ბლოკებად დაყოფა შესაძლოა მოხდეს კვლევების ჩატარების საწყის ეტაპზე, მიმწოდებლის მიერ საკითხის პირველადი შესწავლის შემდგომ წარმოდგენილი კვალიფიციური, დასაბუთებული სარეკომენდაციო წინადადებების გათვალისწინებით. წინადადებები უნდა ეხებოდეს ბლოკებად დაყოფის შესაძლებლობას, მიზანშეწონილობას, თითოეული ბლოკის სარეკომენდაციო კონტურებს და სხვ.

კვლევების ჩატარების გეგმა-გრაფიკი

ჩასატარებელი სამუშაოები	**შესრულების დრო ითვლება ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს (კალენდარული დღე)**
განაშენიანების პერსპექტიული არეალების ბლოკებად დაყოფის უზრუნველყოფა, ცალკეული ბლოკის ინდივიდუალურად შეფასების შესაძლებლობის მიზნით	25
ძირითადი კვლევები: ● ტერიტორიის საკადასტრო კვლევა; ● პერსპექტიული წყალმომარაგების წყაროების (მიწისქვეშა, ზედაპირული) დადგენა; ● პერსპექტიული განაშენიანების არეალების განსაზღვრა შემდგომი შეფასების მიზნით; ● ჰიდროლოგიური გაანგარიშებები და წყალდიდობის/წყალმოვარდნების ზემოქმედების არეალების შესწავლა; ● წყალდიდობის/წყალმოვარდნის პროგნოზები და შესაბამისი მოდელირება; ● ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევა (დაბინძურების ხარისხის და თვითგაწმენდის უნარის განსაზღვრა); ● ნიადაგის და გრუნტის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევა (დაბინძურების და ფილტრაციული გაწმენდის უნარის შეფასება).	70
შუალედური ანგარიშის წარდგენა სამუშაო ჯგუფთან	85
განაშენიანების პერსპექტიული არეალების რამდენიმე საორიენტაციო მასშტაბის მოდელირება და პროგნოზული დამაბინძურებლების ზეგავლენის შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, ასევე ნიადაგზე და გრუნტზე.	95
განაშენიანების არეალის გამოყოფის შემთხვევაში დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა (წყალმოვარდნების პრევენციული ღონისძიებები, სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების და ნარჩენების მართვა).	105
დასრულებული ანგარიშის სამუშო ვერსიის წარდგენა სამუშაო ჯგუფთან	110
დასრულებული ანგარიშის სამუშო ვერსიის საჯარო განხილვა	120
გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინება და ასახვა ანგარიშში და საბოლოო ანგარიშის ჩაბარება	135